წ ე ს დ ე ბ ა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

"ბიზნეს ცენტრი ბესიკზე"

ქ. თბილისი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
„ბიზნეს ცენტრი ბესიკზე"

წესდება

საზოგადოების სტატუსი

მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. საფირმო სახელწოდება

1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა" (შემდგომში "ამხანაგობა")

2. სახელწოდება: „ბიზნეს ცენტრი ბესიკზე"

მუხლი 2. ამხანაგობის სამართლებრივი სტატუსი, ბეჭედი და საძმიანი წერილის სავალდებულო რეკვიზიტები

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, მას შეიძლება ჰქონდეს საანგარიშგებო და სხვა ანგარიშები ბანკში, აგრეთვე სხვა საჭირო რეკვიზიტები;

2. ამხანაგობას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი.

3. საზოგადოების ბეჭდის დამზადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელიც ადგენს ბეჭდის ზომებსა და სხვა რეკვიზიტებს.

4. ამხანაგობის მიერ გაცემულ დოკუმენტებზე, ან საზოგადოების მიერ ხელმოწერილ სხვა დოკუმენტებზე საზოგადოების ბეჭდის არსებობა ან არარსებობა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს და ბეჭედს აქვს მხოლოდ დამატებითი დაცვითი ფუნქცია. დოკუმენტების ნამდვილობისათვის გადამწყვეტია ამხანაგობის თავმჯდომარის ხელმოწერა.

მუხლი 3. ამხანაგობს იურიდიული მისამართი, ამხანაგობის არსებობის ხანგრძლივობა

1. ამხანაგობის იურიდიული მისამართია: ბესიკის ქ.№4-ის მიმდებარედ, ქ. თბილისი, საქართველო.

2. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

ამხანაგობის საძმიანობის მიზანი. საძმიანობის საგანი

მუხლი 4. ამხანაგობის მიზანი და საძმიანობის საგანი

1. ამხანაგობის მიზანია ბინათმესაკუთრეთა წევრთა საერთო ქონების მართვა, ექსპლუატაცია და განკუთვნილების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა.

2. ამხანაგობას უფლება აქვს ეწეოდეს არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რომლიდანაც მიღებული შემოსავალიც გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წესდების და კანონით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

3. ამხანაგობას შეუძლია ფულადი სახსრების ბანკებში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში განთავსება.

4. ამხანაგობას შეუძლია ბინათმესაკუთრეთა წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციის და ასევე, დენის, გათბობის, ცივი და ცხელი წყლის, ჰაერის კონდიცირება/ვენტილაციის, ლივტების ექსპლუატაციის, საერთო ფართების მოვლა-დალაგების, დაცვის, აუცილებელი სარემონტო სამუშაოების და სხვა საჭირო მომსახურების უზრუნველსაყოფად მესაკუთრეთაგან ყოველთვიურად აკრიფოს ფულადი სახსრები.

მუხლი 5. ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაა:

ა) მიწის ნაკვეთი;

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები და საინჟინრო-კომერციული მოწყობლობა და გაყვანილობა;

გ) მრავალბინიანი სახლისმზიდი და შემომზღუდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები (საძირკვლები, კარკასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუაგადახურვები, პარაპეტები (მოაჯირები), ლოჯარდანები(კარნიზები), საწვიმარი მილები და ა.შ.;

დ) მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრედები, სარდაფები, საქვაბეები, ლიფტები, სხვადასხვა დანიშნულების შახტები, არხები, ნაგავგამტარები, ბუნკერები და ა.შ., რომლებიც არ არის ინდივიდუალურ საკუთრებაში;

ე) სატრანზიტო განყოფილება;

მუხლი 6. ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვა

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ერთობლივად მართვა ეკისრებათ მესაკუთრეებს. მესაკუთრე უფლებამოსილია სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, გონივრულობის ფარგლებში მიიღოს აუცილებელი ზომები იმ ზიანის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უშუალოდ ემუქრება

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას. ამ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს თავის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

2. მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ბინათმესაკუთრეთა ამახანაგობის საქმიანობის წარმართვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 7 ამხანაგობის უფლებები

1. ამხანაგობას უფლება აქვს :

ა) კანონით და ამ წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად გააფორმოს ხელშეკრულებები მესამე პირებთან :

ბ) შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება დადგენილი წესით;

გ) იჯარით გასცეს, გააქირავოს ან გაასხვისოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო მოძრავი და უძრავი ქონება;

დ) დააზღვიოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება ;

ე) ისარგებლოს საბანკო კრედიტით;

ვ) დაამტკიცოს სამეურნეო გეგმა და შესრულების წესები ;

ზ) წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ტარიფების და სახსრების ოდენობის, მათი აკრეფის წესის და მომსახურების სახის განსაზღვრა.

თ) ამხანაგობის წევრის მიერ მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გადასახადის 2 (ორი) თვით ვადაგადაცილების შემთხვევაში შეუწყვიტოს მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მომსახურებების მიწოდება.

ი) განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

2 ამხანაგობას უფლება აქვს განახორციელოს წინამდებარე მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული ქმედებები მხოლოდ ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გარდა 1 პუნქტის თ) ქვეპუნქტისა (გადაუხდელობის შენთხვევაში მომსახურების შეწყვეტა) რომლის განსახორციელებლად არ არის საჭირო ამხანაგობის საერთო კრება.

მუხლი 8 ამხანაგობის წევრთა უფლებები და მოვალეობანი

1. ამხანაგობის წევრი არის ბინათმესაკუთრე მრავალბინიან სახლში, წევრობა წარმოიშობა მრავალბინიან სახლში იდივიდუალური საკუთრების შეძენისთანავე.

2. *ამხანაგობის წევრს უფლება აქვს* :

ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ბინას/ოფისს. გამორიცხოს მასზე სხვა პირთა ყოველგვარი ზემოქმედება;

ბ) აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ამხანაგობის თავმჯდომარედ ;

გ) განახორციელოს სხვა უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით.

დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების დაცვის მიზნით დაიცვას სამშენებლო-ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და სხვა ნორმები და წესები.

3. *ამხანაგობის წევრი ვალდებულია :*

ა) გადაიხადოს საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციის და ასევე, დენის, გათბობის, ცივი და ცხელი წყლის, ჰაერის კონდიცირება/ვენტილაციის, ლიფტების ექსპლუატაციის, საერთო ფართების მოვლა-დალაგების, დაცვის, აუცილებელი სარემონტო სამუშაოების და სხვა საჭირო მომსახურების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური გადასახადი.

ბ) ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალური საკუთრება და ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება, რომ ამით სხვა მესაკუთრეს არ მიადგეს ზიანი და იმოქმედოს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულების ფარგლებში ;

მუხლი 9. ბინათმესაკუთრეთა ერთობლივი კომპეტენცია

1. ბინათმესაკუთრენი ერთობლივად წყვეტენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამეურნეო გეგმის შედგენა, შენობის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა, შინაგანაწესის, წესდების მიღება, ამხანაგობის თავჯდომარის არჩევა და განთავისუფლება ასევე საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან და მოვლ აპატრონობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, მათ შორის დაქირავებული თანამშრომლების შტატების განსაზღვრა, სახელფასო განაკვეთების განსაზღვრა, ნებისმიერი მომსახურების შეძენა წინამდებარე წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სახის, ტარიფებისა და გადახდის წესის დადგენა. სხვა ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის დაკონკრეტებული ზემოთმოცემულ ჩამონათვალში თუმცა დაკავშირებულია ამხანაგობის საერთო ქონების განკარგვასა და მოვლა პატრონობასთან.

მუხლი 10. ამხანაგობის წევრთა კრება

1. ამხანაგობის წევრთა კრებას იწვევს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც., კრება შეიძლება მოწვეულ იქნას აუცილებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მესაკუთრის მიერ დაუყონებლივ ან ნებისმიერ შემთხვევაში ამხანაგობის 1/3 წილის მფლობელთა მოთხოვნით.

2. კრების მოწვევის შესახებ ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით. კრებას უძღვება თავმჯდომარე თუ კრება სხვა რამეს არ გადაწყვეტს.

3. კრება მოიწვევა ერთი კვირის ვადაში მისი მოწვევის შესახებ წერილობითი განცხადების გაკეთების დღიდან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კრება მოიწვევა დაუყონებლივ.

4. კრებას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ კრება სხვა რამეს არ გადაწყვეტს.

5. კრებაზე მიღებული დადგენილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. ყოველი ბინათ მესაკუთრეს უფლება აქვს შეამოწმოს ოქმი.

6. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 წილის მფლობელი. თუ ამ მუხლის მიხედვით კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ახალი კრება იმავე დღის წესრიგით. ეს კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს კრების მოწვევისას.

7. გადაწყვეტილებები მიიღება წილის უბრალო უმრავლესობით. სადაც ამხანაგობის წევრის ხმა არის მის კერძო საკუთრებაში მყოფი წილის პროპორციული.

8. მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან.

მუხლი 11. ამხანაგობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე.
2. თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ამხანაგობის ნებისმიერი წევრი. თავმჯდომარის არყოფნისას მისივე დავალებით თავმჯდოამარის მოვალეობას ასრულებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი.

ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია და მოვალეა:

ბ) განახორციელოს ბინათმესაკუთრეთა კრების გადაწყვეტილებანი.

გ) მიიღოს აუცილებელი ზომები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების სათანადო მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მხოლოდ ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების ფარგლებში.

დ) კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უზ რუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების გასხვისებას, გაქირავებას, იჯარით გაცემას, დაგირავებას, სერვიტუტით თუ სხვაგვარი უფლებებით სხვა პირებისთვის გადაცემას.

ე) დებს ხელშეკრლებებს და წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას თუ ეს დაკავშირებულია საერთო ქონების მოვლა-პატრონობასთან.

ვ) გამოდის სასამრთლოში ან სხვა ორგანოებში ამხანაგობის სახელით.

ზ) უზრუნველყოფს ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისთვის, ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის მუშა-მოსამსახურეების დაქირავებას და მათთან ხელშეკრულებების დადებას.

თ) თავმჯდომარე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებებს.

მუხლი 12 ლიკვიდაცია

1. ამხანაგობის ლიკვიდაცია ხდება:

ა) თუ მრავალბინიანი სახლი რომელშიც შექმნილი იყო ამხანაგობა მთლიანად დაინგრა.

ბ) თუ მრავალბინიანი სახლის ყველა ბინათ მესაკუთრე გახდა ერთი პირი.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტის წესი

1. ამხანაგობის წევრებს შორის ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით ან თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოების მიერ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის "ბიზნეს ცენტრი ბესიკზე"

თავმჯდომარე ილია ანთაძე პირადი № 01024013390 _____

ორი ათას თერთმეტი წლის პირველ აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ნარგიზ მინდიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №29, მომმართა: ილია ანთაძემ. მან წარმოადგინა *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ბიზნეს ცენტრი ბესიკზე"-ს* წესდება და მოითხოვა მასზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ილია ანთაძემ (დაბ. 08.04.1979წ. პ/მ №а 1336388, პ. №01024013390, გაც. 20.11.2009წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი, გ. ისაკაძის ქ. №12, ბინა №4) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წესდებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ წესდებას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: /2,00/ ორი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998წ. №1417 II ს) 29-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: (0,36) ოცდათექვსმეტი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლისა. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 31[1] მუხლისა.

ნოტარიუსი ნ. მინდიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110335101
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.04.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმ
ნოტარიუსი	ნარგიზ მინდიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 29
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	95-00-37; 95-78-07
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	53574831720811



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

26.11.2014

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ბესიკის ქ. №4-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის 27.90 და 30.60 ნიშ.-ზე სათავსოების მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ

აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს კარკასული ტიპის მონოლითური რკ.ბეტონის ნაგებობას, ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებით და ჰორიზონტალური ე.წ. ურიგელე სართულშუა მონოლითური გადახურვის ფილებით.

შენობას გააჩნია 8 მიწისზედა და 3 მიწისქვეშა სართული, აგრეთვე 1 ტექნიკური სართული მე-8 სართულის თავზე - კიბის უჯრედების ზონაში.

წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზების მიხედვით დაგეგმილი არის 27.90 ნიშ.-ზე დაახლოებით 8.3X1.6 მ.-ზე სათავსოს და 30.60 ნიშ.-ზე 5.1X1.5 მ.-ზე სათავსოების გაჩენა.

ახალი სათავსოების (ფართების) განთავსება ისე როგორც მოცემულია არქიტექტურულ ნახაზებზე **შესაძლებელია**. სამშენებლო სამუშაოები წარიმართოს სპეციალურათ დამუშავებული ნახაზების გამოყენებით.

დასკვნა: აღნიშნულ შენობაში წარმოდგენილ დონეებზე (ნიშნულებზე) სათავსოების გაჩენა საფრთხეს არ შეუქმნის შენობას და მის ცალკეულ ელემენტებს მათი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ს. პაპაშვილი

ტელ. 599 32 33 68

ელ. ფოსტა saba_pap7@yahoo.com

GEORGIA

DIPLOMA AA № 0016417

Mr. Saba Papashvili R.
enrolled in 1993 in Georgian Technical University
and in 1997 graduated the full course of The Faculty of Civil Engineering of the above-mentioned University
specializing in the field of Industrial and Civil Engineering

By the Decision of the State Examination Commission of December 18, 1997
Mr. Saba Papashvili R. was awarded the qualification of Civil Engineer, the Degree of Bachelor

Rector

Chairman of the State Examination Commission

Seal

Dean

City Tbilisi February 6, 1998

Registration No 0199 **Registrar** Gvasalia

საქართველო

დიპლომი AA № 0016417

საბა [illegible] ძე პაპაშვილი
1993 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
და 1997 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სამშენებლო
ფაკულტეტის სრული კურსი
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1997 წლის „18“ დეკემბრის გადაწყვეტილებით
ს. რ. პაპაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

რექტორი

ბ. ა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 6.02 1998 წ.

სარეგისტრაციო No 0199 **რეგისტრატორი** გვასალია


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
საბა
SABA
გვარი / LAST NAME
პაპაშვილი
PAPASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01009007510
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.04.1976
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.02.2023
ბარათის No / CARD No
12IC67441
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.02.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IC67441101009007510<<<<
7604072M2302074GE0<<<<<<<<<<<7
PAPASHVILI<<SABA<<<<<<<<<<<<<<